

F 343
1997

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადათ:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადათ?

# დილა

ნოემბერ–დეკემბერი 1997 წელი

# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

აკაკი წერეთელი



## ნაკადული

სწავლა წყარო არს ცხოვრების,
სიბრძნე - მისი ნაკადული
და ნაყოფი მათი ერთად -
შვება, ლხენა, სიხარული.

დედის რძესთან ვინც შეწოვა
მისი ქვეყნის სიყვარული,
მას გაუწმენდს სულსა და გულს
ეროვნული ნაკადული.

მაგრამ შრატსა დედინაცვლის
ვინც კი დააჯერა გული,
იმას უწევს ნაღველ-შხამად
ცხრა მთას იქით ნაკადული.

და შენც, ერმაო, თუ გსურს გახდე
შენი ქვეყნის მე ერთგული,
შესვი წყარო ეროვნების!
გწამდეს მისი ნაკადული!..

გახსოვდეს, რომ სწავლა არის
წყარო!.. სიბრძნე - ნაკადული!..
და ნაყოფი მათი ტკბილი -
შვება, ლხენა, სიხარული.





მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

საჩუქრად „დილას"– განახლებულსა და აღორძინებულს! მარად თქვენი ერთგული არჩილ სულაკაური

F-6427



# იმ პატარა ქალაქში ანუ მატასი, პიპა და სუსი-ფუსი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო მატასი, ერთი ლამაზი და მალიან კეთილი გოგონა. იმ პატარა ქალაქში, სადაც ეს გოგონა ცხოვრობდა, სხვა ბავშვებიც მალიან ლამაზები და კეთილები იყვნენ, მაგრამ მატასი მაინც ყველასაგან გამოირჩეოდა.

იმ პატარა ქალაქში მხოლოდ მატასის ჰყავდა ძაღლი და კატა. სხვები ან მარტო ძაღლით იწონებდნენ თავს, ანდა ფისუნიათი ამაყობდნენ; ორივე შეავსო, მატასის გარდა ვერავინ დაიტრაბახებდა.

დიახ, იმ პატარა ქალაქში მხოლოდ მატასის ჰყავდა პიპა და სუსი-ფუსი.



პიპა ჩვეულებრივი, ეზოს ბომბორა ძაღლი იყო, სუსი-ფუსი ჩვეულებრივი კატა, კუპრივით შავბეწვიანი, ყვითელთვალება. რა თქმა უნდა, ძაღლი და კატა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი, სულ ჩხუბობდნენ. განსაკუთრებით პიპა იღრინებოდა, ეგ კუდაპრეხილი კატა შინიდან გარეთ გამოსული არ დავინახოო.

სუსი-ფუსი აინუნშიაც არ აგდებდა პიპას გაბრაზებას. შინიდან სწორედ კუდაპრეხილი გამოვიდოდა, მობიბინე



ბალახზე ნებივრად გაივლიდა და გამოივლიდა. პიპა უცებ თვალს მოკრავდა და, ამას აქ რა უნდაო, ყეფა-ყეფით დაედევნებოდა. სუსი-ფუსი ან სახლის მოაჯირზე ასწრებდა შეხტომას, ან ხეზე აიჭრებოდა და ფოთლებიდან გულისგასახეთქად იჭყიტებოდა. გაგიჟებული პიპა ახლა ქვემოდან უყეფდა და უღრენდა.

მეზობლის ბიჭები იცინოდნენ, სად გაგონილა ძაღლისა და კატის შერიგება, მატასიმ ან ერთი, ან მეორე უსათუოდ უნდა გააჩუქროსო. მატასის კი ორივე უყვარდა, ორივეს მეგობრობდა: პიპას ეზოში ეთამაშებოდა, სუსი-ფუსის - ოთახში.

მატასი თუ ხატავდა, სუსი-ფუსი მაგიდაზე დაუხტებოდა და ხელის მოძრაობას კრუტუნ-კრუტუნით ადევნებდა თვალს. ზოგჯერ ფანქარს ან ფლომასტერს თათსაც გამოკრავდა, აქა ვარ, მატასი, ყურადღება მეც მომაქციეო. მატასი კი ხატვით იყო გატაცებული, ხან პიპას, ხან სუსი-ფუსის ხატავდა. თანაც იმას ფიქრობდა, ეს მაიმუნები იქნებ როგორმე შევარიგო, სამივემ შეხმატკბილებულად ეზოში რომ ვითამაშოთო.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



იმ პატარა ქალაქში პიპასა და სუსი-ფუსის ჩხუბითა და დევნა-წიოკობით მიიწურა ზაფხული. შემოდგომის პირველ დღეს მატასი პირველად მიდიოდა სკოლაში. პიპამ გადაწყვიტა, გულახდილად უნდა ვუთხრა, რასაც ვფიქრობ, უკვე დიდი გოგოა და კარგად გამიგებსო. სწორედ ამ დროს გამოვიდა გაღიმებული მატასი სახლიდან, პიპას მიესალმა, თავზე ხელი გადაუსვა და ხტუნვა-ხტუნვით სკოლისაკენ გასწია. პიპა ძუნძულით აედევნა.

- ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, მატასი? - მოულოდნელად ჰკითხა პიპამ.

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა მატასი და გაკვირვებულმა მოხედა, ამას რატომ მეკითხებაო.

- ჩვენ თუ მეგობრები ვართ, ის შავი კატა ვიღაა!?

- ისიც ჩემი მეგობარია!



- შენი მეგობარი ჩემი მეგობარიც ხომ უნდა იყოს!?

- უსათუოდ, პიპა!

- უნდა იყოს, მაგრამ არ არის!

- ხელს რა გიშლის, დაუმეგობრდი!

- მაგ კუდაპრეხილ კატას არასოდეს დავუმეგობრდები! ორმაგი სახელი რომ ჰქვია, ვითომ მარტო სუსი არ ეყოფოდა!?

- პიპა, სუსი-ფუსი მალიან კეთილი და მოსიყვარულე კატაა!

- თავხედია! მაგიდებზე ისე დასეირნობს, ვითომც არაფერი!

- მე თუ ვეტყვი, არც მაგიდაზე ისეირნებს და არც ტახტზე მოიკალათებს დასაძინებლად.

- საზიზღარი კატაა! შენი რომ ვიყო, ვიღაცას ვაჩუქებდი, მოვიშორებდი.

- იცი, რას გეტყვი, პიპა, სუსი-ფუსი შენ ნამდვილად გჯობია!

- რითი მჯობია, მე ეზოს მაინც ვდარაჯობ, მაგას კი ჯერ ერთი წრუწუნაც არ დაუჭერია!

მატასი დაფიქრდა. როდის-როდის უპასუხა:

- ყური კარგად დამიგდე, პიპა, სუსი-ფუსის არასოდეს უთქვამს, პიპა საზიზღარი ძაღლია და ვინმეს აჩუქე, თავიდან მოიშორეო.

პიპას ხმა არ ამოუღია. შეჩერდა. კარგა ხანს იდგა და სკოლისაკენ მიმავალ მატასის გასცქეროდა. მერე გატრიალდა და შინ წელმოწყვეტილივით დაბრუნდა. ეზოში შესული ცაცხვის ძირში დაწვა. გადაჯვარედინებულ თათებზე თავი დადო და თვალები მილულა. ცოტა ხნის შემდეგ თვალი ისევ გაახილა და მესერთან კუდაპრეხილი შავი კატა დაინახა.



სუსი-ფუსი ეზოში სეირნობდა, თან გულისყური პიპასკენ ჰქონდა გაფაციცებული, თუ წამოფრინდება, როგორმე თავს უნდა ვუშველოო. გაუარ-გამოუარა, აუარ-ჩაუარა. პიპა გაუნძრევლად იწვა, ვითომ ვერ ვხედავო. სუსი-ფუსი იმდენად გათამამდა, პიპას გასაღიზიანებლად დაიკნავლა კიდეც. პიპა არ გაბრაზებულა, დაღვრემილი უმზერდა ეზოში მოსეირნე კატას, მერე თავი გვერდზე მიაბრუნა და წაითვლიმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსი-ფუსი სულ გათავხედდა, ახტა-დახტა, ბალახზე გაწვა, გადაკოტრიალდა, გადმოკოტრიალდა. ცხვირწინ დიდი, მწვანე კალია აუხტა, გამოეკიდა და თათიც მოუქნია. ცალი თვალი მაინც ჰიპასაკენ ეჭირა, ამ ღრენიამ დრო არ იხელთოს და კბილი არ გამკრასო. ჰიპა ისე იწვა, თითქოს ეზოში არაფერი ხდებოდა.



სუსი-ფუსი დაეჭვდა, ამ ძაღლს ნამდვილად რაღაც დაემართაო. ორიოდე ნაბიჯით მიუახლოვდა და წინ დაუსკუპდა. ჰიპა არც ახლა განძრეულა. სუსი-ფუსი სულ ახლოს მივიდა, თავზე დაადგა და თანაგრძნობით ჰკითხა:



- ეი, ჰიპა რა მოგივიდა?

ჰიპამ ყურები დაცქვიტა. თათის გაწვდენაზე კუდაპრეხილი სუსი-ფუსი იდგა და ყვითელი თვალებით დასცქეროდა.

- ავად ხომ არა ხარ, ჰიპა?

- არა, სუსი-ფუსი, მატასი სკოლაში გავაცილე, იქიდან სირბილით დავბრუნდი და ცოტათი დავიღალე. - მშვიდად უპასუხა ჰიპამ.



... იმ პატარა ქალაქში მხოლოდ მატასის ჰყავდა ძაღლი და კატა, ანუ ჰიპა და სუსი-ფუსი.

მხატვარი **ლაშა სულაკაური**

ლია კობალაძე

## კბილის ექიმი



კბილი სტკივა ლილის,
გულსაკლავად ტირის,
ვინ გაუძლებს კბილის
ასე მწარე ტკივილს!
რა ჩარა აქვს გივის,
ყოველთვის რომ დიდობს,
ლილის გასაჭირი
თავზე უნდა იდოს.
არ სჭირდება ნემსი,
უნდა მხოლოდ ძაფი,
მკურნალობა ესმის,
მარჯვეა და სწრაფი.
და ნაცადი ხერხი
ახლაც მარჯვედ სინჯა,
კბილი კვეხნა-კვეხნით
ამოილო დინჯად.

მხატვარი **თამარ ქალდანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანო ჩხიკვაძე

# პეპი

პეპი დაარქვეს ბიჭებმა,
ეზოში ლეკვი იზრდება,
ხმა უბოხდება ყეფით.
ნებიერსა და თავნებას
ვანიკოც ხვეწნით დაჰყვება
- პეპი, მოიცა, პეპი!

მოსდიან პეპის ძაღლები,
მშიერი მაწანწალები,
ვანიკოც მორბის ხელადა.
ჯულბარსია თუ ბროლია,
სუყველა პეპი ჰგონია,
პეპის ეძახის ყველას.

- როგორ არ გავწყრე, ბიძია,
რა უცნაური ბიჭია, -
ბრაზი ერევა მწევარს.
იქით მურია ბუზღუნებს,
აქეთ წრიპინებს პუდელი -
თეთრი ბაბუაწვერა.

რა ქნას ბაჯბაჯა პაწიამ,
ჯერ თითისტოლა კაცია,
ლოყებს ბურთივით ბერავს.
ჯულბარსია თუ ბროლია,
სუყველა პეპი ჰგონია.
პეპის ეძახის ყველას.

# თაგუნა

პირველად ნახეს თაგუნა
დღეს ვანიკომ და ლექსომ,
იფიქრეს, ბევრი იფიქრეს,
რა უნდა იყოს ესო.
ჯერ თხილის გული გამოხრა,
მერე გამხმარი ყუა.
- ნეტავი ეს ხომ არ არის
თავზარდამცემი ბუა?
გულადად გაუთამაშა
ცეცხლთან ჩათვლემილ ფისოს.
- საბანში თუ არ შევძვრებით,
მალე ჩვენც გაგვკრავს კბილსო.
დაიკრუტუნა ფისუნამ
ამ დროს თვალების ნაბვით
და გულისხეთქით გავარდა,
გადაიკარგა თაგვი.



მხატვარი ნანა სანაია

# ეკლესია-ღვთის სახლი

ნანა ჩარკვიანი

## საუბარი სულიერი მოძღვრის შესახებ



წინა წერილებში ეკლესიის შესახებ ვთქვით, რომ ეკლესიაში ადამიანი იწყებს ახალ, ნამდვილ ცხოვრებას, ცხოვრებას არა მარტო საკუთარი თავისათვის, არამედ სხვა ადამიანებისათვის; იწყებს ცხოვრებას ღმერთთან ერთად. ეს ახალი ცხოვრება ჩვენ მოგვიტანა იესო ქრისტემ - ქრისტემ დაამარცხა ცოდვა, სიკვდილი და იგივეს გვასწავლის ჩვენ; გვასწავლის როგორ გავიმარჯვოთ ბოროტებაზე, სიკვდილზე. მაგრამ არა მხოლოდ გვასწავლის, არამედ გვაძლევს კიდეც საამისო ძალას. ამ ძალას ჰქვია მადლი. მადლს ადამიანისათვის მოაქვს არაჩვეულებრივი სიხარულის შეგრძნება. ახალი აღქმის წიგნებს ხომ სახარება ჰქვია, ე. ი. მოტანა სასიხარულო ამბის, ამბისა რომ ღმერთი ადამიანად იქცა, რათა ადამიანმა შეძლოს ღმერთის მსგავსი ცხოვრების დაწყება. ეს სწავლება - თუ როგორ გავხდეთ ღვთის მსგავსები, როგორ დავამარცხოთ ცოდვა და სიკვდილი, და ყოველივე ამის აღსრულების, ე.ი. გაკეთების ძალა მაცხოვარმა გადასცა თავის მოწაფეებს - მოციქულებს, რომლებსაც დაუბარა, ეს სწავლება და მადლი გადაეცათ თავიანთი მოწაფეებისათვის, იმათ კიდევ თავიანთი მოწაფეებისათვის და ასე მანამდე, სანამ იარსებებს სიცოცხლე დედამიწაზე. უპირველესი მღვდელმსახური არის იესო ქრისტე, ქრისტეს შემდეგ მის საქმეს აგრძელებენ მისი მოწაფეები, მღვდელმსახურები, სწორედ მათ მოიყვანეს ეკლესია დღემდე.

მღვდელმსახური არის იესო ქრისტეს ცოცხალი ხატი. ქრისტე, როგორც ღმერთი, მარადიულად არსებობს, მაგრამ როგორც ადამიანი, ის ოცი საუკუნის წინ, ანუ ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდა მიწაზე. მისი ხილვა თვალით ჩვენ, დღევანდელ ადამიანებს, არ შეგვიძლია, მისი ხილვა შეიძლება ხატების საშუალებით. ხატები აცოც-ხლებენ ქრისტეს გამოსახულებას. ე.ი. მის სახეს, და, ასევე, მოსილნი არიან მისი ძალით ანუ მადლით. მღვდელმსახურნი კი ცდილობენ თავიანთი ცხოვრების წესით, სიტყვითა თუ საქმით იყვნენ ქრსიტეს მსგავსები. მისი მცნებების შემსრულებლები უფლის სწავლების სხვებისათვის გადამცემნი; ისინიც ასევე, არიან ქრისტეს მადლით მოსილნი. მაცხოვარმა სწორედ მათ გადასცა ძალა ცოდვების პატიებისა. სხვაგან, ეკლესიის გარეთ, ვერსად ვიპოვით სწავლებას ჭეშმარიტი, ნამდვილი ცხოვრების შესახებ; ვერსად ვიპოვით ძალას, მადლს ცოდვების მიტევებისა და ახალი ცხოვრების დაწყებისა. სწორედ ამიტომ ცდება ის ადამიანი ვინც ამბობს, რომ ეკლესიისა და მღვდელმსახურთა გარეშეც კარგად შეუძლია იყოს ქრისტიანი.

დავფიქრდეთ, ყველა მშობელი ცდილობს, რომ საკუთარი შვილი უცხო ენის, მუსიკის ან სხვა რომელიმე საგნის შესასწავლად ყველაზე კარგ მასწავლებელს მიაბაროს. თუ ბავშვი ავად გაუხდა, ყველაზე კარგ ექიმს მიუყვანოს, ესე იგი იმას ანდოს, ვისაც საკუთარი საქმის დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ხოლო როცა საქმე სულიერ ცხოვრებას ეხება, რატომღაც ადამიანები ფიქრობენ, რომ არავისგან არაფრის სწავლა არ სჭირდებათ, რადგან ჰგონიათ, რომ თვითონაც კარგად იციან ყველაფერი. რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა და ადამიანის ამპარტავნებაზე მეტყველებს. არავისთვის არ არის დამამცირებელი ისწავლოს მათემატიკა მათემატიკის მასწავლებლისაგან, მივიდეს სამკურნალოდ - ექიმთან. ასევე არ უნდა იყოს დამამცირებელი სულიერი ცოდნის მიღება სულიერი მოძღვრისგან, ე.ი. მღვდელმსახურისაგან, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის ქრისტეს მოძღვრება და რომელსაც შეუძლია ქრისტეს მადლით უმკურნალოს ჩვენს სულიერ დაავადებებს, სისუსტეებს. სუ-

ლიერი უძლურება მოაქვს ღმერთის გარეშე, მადლისაგან მოწყვეტილ ცხოვრებას. ისევე როგორც მცენარე ჭკნება წყლისა და სინათლის უქონლად, ადამიანის სულიც ვერ ძლებს, თუ ღვთის მადლი არ მიიღო. სიკეთეს ბოროტებად მიიჩნევს, ბოროტებას კი - სიკეთედ. სულიერმა მოძღვრებმა იციან, როგორ შეიძლება მადლის მოპოვება და მისი გამოყენება ჩვენსავე სასარგებლოდ და სხვების სასიკეთოდ.

მოძღვართან ურთიერთობით ჩვენ უკეთ ვეცნობით საკუთარ თავს, რადგან აღსარების თქმისას ვცდილობთ დავფიქრდეთ ყოველ ჩვენს საქციელზე თუ სიტყვაზე... ვისაც კარგი მუსიკალური სმენა აქვს, მას არც ერთი შეცდომა არ გამოეპარება ნაწარმოების შესრულებისას. სულიერი მოძღვარი გვეხმარება, გამოვიმუშაოთ ფაქიზი სულიერი სმენა, რათა არც ერთი ცოდვა არ გამოგვრჩეს ჩვენი ცხოვრებიდან. ისევე როგორც ტალახის, ჭუჭყის ერთადერთი ლაქა მთლიანად უკარგავს იერს სადღესასწაულო ტანსაცმელს, ყოველი ცოდვაც ასევე ამახინჯებს ადამიანს, ადამიანი ხომ ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი.

ვინც სინანულით აღიარებს ცოდვას მოძღვრისა და ღმერთის წინაშე, მას ქრისტე აპატიებს, ე.ი. ეს ცოდვა იშლება მისი ცხოვრებიდან. ხოლო ვინც ცოდვას თავის თავში ინახავს, ის განუკურნებელი ავადმყოფობით დაავადებულს ემსგავსება. ხშირად ავადმყოფობა პირველ ხანებში შეუმჩნეველია ხოლმე, სულიერად უცოდინარი ადამიანი ცოდვის საშინელ გავლენას დასაწყისში ვერ ამჩნევს, მხოლოდ მაშინ ხდება საგრძნობი მისი დამანგრეველი ძალა, როცა ის ძალიან ღრმად იდგამს ფესვებს.

ჩვენ არ უნდა შეგვრცხვეს საკუთარი ცოდვების აღიარება. პირიქით ეს დიდი ვაჟკაცობაა, სულიერი სიმამაცეა. მოძღვარს მხოლოდ უხარია, როცა ჩვენ სურვილი გვიჩნდება გავხდეთ ცოდვაზე ძლიერნი, გავიმარჯვოთ მასზე. ცოდვის აღიარებას დიდი შვების, სიხარულის გრძნობა მოაქვს.

მოძღვართან ურთიერთობა ჩვენ სიმდაბლეს (თავმდაბლობას) და მორჩილებას გვასწავლის. როცა მოძღვარს ვთხოვთ, შეგვინდოს ცოდვები ღმერთის სახელით, ამით ვსწავლობთ პატიების თხოვნას სხვა ადამიანებისაგან; როცა რჩევას ვეკითხებით მას, ვსწავლობთ სხვების აზრთა გათვალისწინებას, სხვა ადამიანების მოსმენას! შეიძლება ვინმემ იკითხოს, რატომ უნდა ვიცხოვრო სხვის ჭკუაზე. უნდა ვიცოდეთ, რომ მოძღვარი თავის აზრებს კი არ გვახვევს თავს, არამედ ქრისტეს - ჩვენი ღმერთის - მოძღვრებას გვასწავლის. ქრისტე კი ყველა ადამიანის შემოქმედია, ის თითოეული ქრისტიანისათვის მამაა, ჩვენ ხომ ასე მივმართავთ მას ლოცვაში: „მამაო ჩვენო...“ ჰოდა მშობელმა ყველაზე უკეთ იცის, რა არის უკეთესი მისი პატარა შვილისათვის, ღმერთი ჩვენი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. ვისაც უნდა ღმერთის მორჩილი იყოს, ანუ გაიგოს მისი სურვილები და შეასრულოს ისინი, ის მოძღვარს ეკითხება რჩევას. მორჩილება სულაც არ ნიშნავს ბრმა მონობას, პირიქით, ეს არის ცოდნა იმისა, რომ ღმერთი უსაზღვროდ ბრძენი არსებაა და ყოველთვის სიკეთე სურს ჩვენთვის. ჩვენ ერთი მთლიანი სამყაროს ნაწილები ვართ, რომელიც ღმერთმა სიკეთისათვის შექმნა.

მღვდელმსახურნი ქრისტეს თანამუშაკნი, თანამოქმედნი (თანამედროვე ენით რომ ვთქვათ თანამშრომლები) არიან. ისინი ჰგვანან პურის ყანის მთესველებს. პურის თესლები - მრევლები - არის ქრისტეს მოძღვრების სიტყვები, ხოლო მიწა, ნიადაგი, საიდანაც უნდა ამოიზარდოს ყანა, ე.ი. ჩვენი კეთილი საქმეები, არის ჩვენი გულები. ამიტომ, ჩვენც, ჩვენს სულიერ მოძღვართა დახმარებით ვემსახურებით ქრისტეს საქმეს. ყველაზე დიდ სიხარულს ადამიანი სწორედ მაშინ განიცდის, როცა იცის, რომ ადამიანების სამსახურით ის ღვთის საქმეს აკეთებს; ღმერთი შეგვეწიოს, ამინ!



მხატვარი **ნუგზარ გიგაური**

ემზარ კვიტაიშვილი

# ანის კურდღელი მოუყვანეს

ლამაზი და გონიერი
კურდღელი ჰყავს ანის - ნია,
ყოველ წუთას ჭამა უნდა,
თან შია და თან რცხვენია.
ჰკოცნის ანი, ეფერება:
ვენაცვალე ნიასაო,
კალთაშიაც ჩავიწვინე,
არ ვაკარებ ნიავსაო.
მთელ დღეს დახტის, კოტრიალობს,
გრძელყურა და ტუჩცმაცუნა,
ახრამუნებს ხახვის ფოჩებს,
არც კომბოსტო დაიწუნა.

აბრიალებს დიდრონ თვალებს,
სუყველაფრის აქვს უფლება,
ბოსტნეულის, ხილის გარდა,
გეახლებათ ნიგვზის ლებანს.
აივანზე დანავარდობს,
რაღად უნდა ბაღ-ბოსტანი,
სასუსნავი არ აკლია,
დედასავით უვლის ანი.

მხატვარი ნუგზარ გიგაური



რადიარდ კიპლინგი

# რად აქვს ასეთი ტყავი მარტორქას!!



იყო და არა იყო რა... იყო ერთი პარსი[1], რომელიც მეწამული ზღვის პირას ერთ დაუსახლებელ კუნძულზე ცხოვრობდა და რომლის ქუდიდანაც მზის სხივები თვით აღმოსავლეთისათვის უჩვეულო ელვარებით ირეკლებოდა. ამ პარსს არაფერი ებადა გარდა ერთი ქუდისა, ერთი დანისა და ერთი ღუმელისა, ღუმელისა, რომელსაც სათოფეზე არ უნდა გაეკაროს არც ერთი ბავშვი. ერთ დღესაც აიღო ამ პარსმა ფქვილი, წყალი, მოცხარი, ქლიავი, შაქარი და სხვა ამისთანები; აიღო და გამოიცხო ნამცხვარი, რომლის სიგრძე და სიგანე ორ-ორი ფუტი იქნებოდა, სისქე კი - სამი. მართლაც რომ პირის ჩასატკბარუნებელი რამ გამოვიდა (ესეც მისი ჯადო!) რაკი ამ ღუმელში ცხობის უფლება მარტო მას ჰქონდა, ადგა და მანამ აცხო, სანამ კარგად არ დაიბრაწა და მადისამშლელი სურნელი არ დააყენა. ჰოდა, ის იყო, ყელის ჩაკოკლოზინება დააპირა, რომ კუნძულის უკაცრიელესი კუთხე-კუნჭულიდან სანაპიროსაკენ გამოეშურა ერთი ცხვირზერქაგამობმული და გოჭისთვალება, არც თუ დიდი ზრდილობა-თავაზიანობით გამორჩეული მარტორქა. იმ დროს მარტორქას ისე მჭიდროდ ჰქონდა შემოტმასნილი ტანზე ტყავი, რომ ერთ ნაოჭსაც ვერსად უპოვიდით. პირწავარდნილი სათამაშო ნოესკიდობნისეული მარტორქა იყო, ოღონდ ბევრად უფრო დიდი. ეგაა, ზრდილობა არც მაშინ ჰქონდა, არც ახლა აქვს და არც არასოდეს ექნება. „როგორო!“ - შესძახა მარტორქამ, და პარსმაც მაშინვე ხელი უშვა ნამცხვარს და პალმის ხის კენწეროზე მოექცა თავის ქუდის ამარა, რომლიდანაც მზის სხივები თვით აღმოსავლეთისათვის უჩვეულო ელვარებით ირეკლებოდა. მარტორქა ცხვირით ღუმელს დაეტაკა და გადააყირავა; მერე ნამცხვარი ცხვირზე გამობმულ რქაზე წამოიცვა, შეახრამუნა და კუდის ქნევით გასწია კუნძულის უდაბური და უკაცრიელი კუთხე-კუნჭულისაკენ, რომელიც მაზანდერანისა და სოკოტრის კუნძულებს და დიდი ბუნიობის კონცხს ეკვრის. მაშინ პარსი პალმის ხიდან ჩამოვიდა, ღუმელი ისევ თავის ფეხებზე შეაყენა და წარმოთქვა მუქარა, რომლის შინაარსაც ახლავე მოგახსენებთ:

**პარსის მიერ გამომცხვარი**
**ნამცხვარი ვინც აიღოს,**
**თავი ცუდ დღეში ჩაიგდოს!**

ეს სულაც არ გახლდათ ფუჭი ქადილი და აი, რატომ: ხუთი კვირის შემდეგ მეწამულ ზღვაზე მეტისმეტად ჩამოცხა და ყველამ ერთბაშად ტანთ გაიხადა. პარსმა ქუდი მოიშვლიპა, მარტორქამ ტყავი გაიძრო, მხარზე გადაიკიდა და ნაპირს მიადგა საბანაოდ. იმხანად ტყავი ქვემოდან ეკვრებოდა სამ ღილზე და საწვიმარ ლაბადასა ჰგავდა. მას, ვითომც აქ არაფერიო, სიტყვა არ დასცდენია ნამცხვარზე, რადგან სულ შეესანსლა იგი. ზრდილობა ხომ არც მაშინ ჰქონდა მოჭარ-



მხატვარი ლაშა სულაკაური

[1]პარსი - ერთ-ერთი რელიგიური თემის წევრი ინდოეთში, წარმომავლობით სპარსელი.

ბებული, არც აქვს ახლა და არც არასოდეს ექნება! ბაჯბაჯით პირდაპირ წყალში შეტოპა და საპნის ბუშტების გაშვებას შეუდგა, ტყავი კი ნაპირზე დააგდო.

ამ დროს პარსმაც ჩამოიარა და ტყავი რომ დაინახა, ერთი-ორჯერ ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მერე ცეკვა-ცეკვით სამჯერ შემოურბინა გარშემო და ხელების ფშვნეტას მოჰყვა; ამის მერე კი თავისი ადგილსამყოფელისაკენ გასწია, ქუდი ნამცხვრის ნამცეცებით აავსო, რადგან ნამცხვრის მეტს პირს არაფერს აკარებდა და დაგვითაც არასოდეს გვიდა თავის სადგომს. აიღო მარტორქას ტყავი და წაიღო, გაფერთხა და გაბერტყა, მერე კი გახეხა და კარგად გამოტენა ძველ-ძველი, ხმელ-ხმელი, გამომხმარი, გამომშრალი, პწკენია და ჩხვლეტია ნამცეცებითა და წვრილ-წვრილი დახრუკული ნაფხვენებით. თავისი საყვარელი პალმის ხის კენწეროზე მოექცა და დაელოდა, - ერთი სული ჰქონდა, როდის ამობრძანდებოდა წყლიდან მარტორქა და შეიმოსებოდა.

ბოლოს მარტორქაც გამოჩნდა და შეიკრა თუ არა სამივე ღილი, ტყავმა ისე დაბწკინა, ნამცეცები რომ იბწკინებიან ლოგინში. მოფხანა სცადა, მაგრამ მთლად უარესი! მაშინ კი სილაში გაწვა და გაგორდა. იგორა, იგორა და იმდენი ქნა, იმდენი იგორა, რომ ყოველ გაგორებაზე უფრო და უფრო ემწარებოდა ნამცხვრის ბწკენის ნაფხვენები. ბოლოს პალმის ხისკენ გაშპა და ტანით მაგრად გაეხახუნა. გაეხახუნა, მაგრამ რას ეხახუნა! იმდენი ქნა, იმდენი ეხახუნა, რომ ბოლოს ტყავი დაუნაოჭდა; ერთი ნაოჭი მხრებზე გაუჩნდა, ერთი ქვემოთ, მუცელზე, სადაც უწინ ღილები ეკვრებოდა (ახლა კი ხახუნისაგან მოსძრობოდა), რამდენიმე კიდევ - ფეხებს ზემოთ. ამან მარტო გუნება წაუხდინა, რადგან ვერა და ვერ გააწყო ვერაფერი ნამცეცებთან - ტყავის შიგნით ჩაბუდებულები მწარედ რომ იბწკინებოდნენ. ასე გასწია სახლისაკენ, განრისხებულმა და უსაშველოდ დაბწკენილმა. იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, ყველა მარტორქას მეტისმეტად მოპრანჭულ-მოჭმუჭნული ტყავი და ერთობ ახირებული ხასიათიც აქვს და ეს ყველაფერი იმ ტყავის შიგნით ჩაბუდებული ნამცეცების ბრალია.

პარსი კი პალმის ხიდან ჩამოვიდა თავისი ქუდის ამარა, რომლიდანაც მზის სხივები თვით აღმოსავლეთისათვის უჩვეულო ელვარებით ირეკლებოდა; ღუმელი შეფუთა და ორატოვოს, ამიგდალას, ანანტარივოს ზემო ველისა და სონაპუტის ტბისაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

ინგლისურიდან თარგმნა **რუსუდან მახათაძემ**

ლექსი თარგმნა **ასმათ ლეკიაშვილმა**

ბეჟან სვანიძე

## ცემა როგორ გკადრო

**თხაო, წვერცანცარა,**
**თხაო, სანაცილე.**
**ნორჩ, პატარა ნერგებს**
**რატომ უღრღნი ძირებს.**
**რად ტკეჭერ ახალ დარგულ**
**მსხლებს, ალუბლებს, თხილებს?..**
**ბევრჯერ გაგიჯავრდი,**
**ბევრჯერ გაგაფრთხილე,**
**შენ კი ეშმაკურად**
**თვალებს აფახურებ,**
**ჩემს ნათქვამს არ ისმენ,**
**არც იბერტყავ ყურებს...**

**ცემა როგორ გკადრო**
**შენი წვერის პატრონს?!**



მხატვარი **თეა რიჟამაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თუ კაცი ხარ

წამოხტება ბაჯი-ბუჯი,
გადაიგდებს მხარზე ხურჯინს,
სავსეს წაბლით, სავსეს თხილით,
გაუყვება ასე ბილიკს.
რას გააქვსო ჩხარა-ჩხური!
ჩუთ-ჩუუთ! - ცქვიტა ზღარბმა ყური.
ვერ შეჭამო, ვიცი, მაგდენს,
მცირედი მეც მიწილადე!
- რა ჩხრიალებს!
მგონი, თხილი!
თაგვიც მორბის დაოთხილი.
- რა ზემოდან იყურებით,
თქვენც გერგებათ თითო-თითო!
ჩამოცვივდით, ციყვუნებო,
ხიდან კუდის ფრიალითო!
დატრიალდა ბაჯი-ბუჯი,
წამში მოხსნა თავი ხურჯინს
და აქამდე მყოფი ყუჩად
გამოცოცხლდა ოთხი ქუჩა:
ჟოლოს ქუჩა, მაყვლის ქუჩა,
სოკოს ქუჩა, მარწყვის ქუჩა
და ხურჯინიც დაიცალა
ბლუჯა-ბლუჯა, მუჭა-მუჭა!
ესეც ასე! თუ ხარ კაცი,
არ გაივლი გზაზე ფუჭად!



## ორი დიალოგი

- როცა გარეთ ქარი ქრის და
როცა წვიმს და როცა ცივა;
შენ რას ფიქრობ!
- რა ვიფიქრო...
მადლობა ღმერთს,
რომ სახლში ვარ!

- თუ ბნელა და ქარბუქია
და გზა-კვალი არსით არ ჩანს,
რაზე ფიქრობ!
- მეშინია,
ვაითუ, ვინმე კარში დარჩა!







მხატვარი დარეჯან ჟილაშვილი

შალვა საგაშვილი

# ჰყავთ თუ არა მთვარეები სხვა პლანეტებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დილის“ მკითხველებმა იციან, რომ მთვარე დედამიწის ირგვლივ მსრბოლი ცივი სხეულია, რომელიც არეკლილი მზის სხივებით ანათებს. უმთვარო ღამით დედამიწაზე წყვდიადისებური სიბნელე ისადგურებს, სავსე მთვარით გაბრწყინებული ღამეები კი ზღაპრულად ლამაზი და მოელვარეა.

საინტერესოა, როგორი იქნებოდა ღამის ცა, ჩვენ რომ ვენერაზე, მარსზე ან რომელიმე სხვა პლანეტაზე ვცხოვრობდეთ! ჰყავთ პლანეტებს საკუთარი მთვარეები? ან ეგებ მათ „მცხოვრებლებსაც“ ჩვენი მთვარე უნათებს?

უნდა გითხრათ, რომ კოსმოსიდან დედამიწაც, მის მიერ არეკლილი მზის სხივების წყალობით, მთვარესავით ბადროიან მნათობად მოჩანს, ოღონდ იგი მთვარეზე სამჯერ დიდი და თითქმის ასჯერ კაშკაშაა. და მაინც მას, ჩვენს დიდებულ დედამიწას, ყველაზე ახლო პლანეტიდანაც კი ისეთივე პატარა მბრწყინავი წერტილის სახით დაინახავენ, როგორც ჩვენ ვხედავთ ვენერას, იგივე ცისკრის ვარსკვლავს. აქედან ცხადია, რომ გაცილებით უფრო მკრთალ მთვარეს „უცხოპლანეტელები“ მკრთალ ვარსკვლავად აღიქვამენ და იგი ღამის მნათობად სრულიად არ გამოადგებათ.

ახლა იმაზე, ჰყავთ თუ არა პლანეტებს საკუთარი მთვარეები?

ამ მარტივ კითხვაზე ვერასოდეს ვუპასუხებდით, ტელესკოპი რომ არ გამოგვეგონა: შეუიარაღებელი თვალით არც ერთი სხვა პლანეტის მთვარე არ ჩანს. მეტიც, უტელესკოპოდ თვით შორეული გიგანტი პლანეტები - ურანი და ნეპტუნიც კი მიუწვდომელია თვალისათვის, არათუ მათი მთვარეები. ამიტომ არის დაკავშირებული სხვა „მთვარეთა“ აღმოჩენა გალილეო გალილეის სახელთან. თითქმის ოთხასი წლის წინათ ამ გენიალურმა იტალიელმა მეცნიერმა თვითნაკეთი მარტივი ჭოგრით ერთბაშად იუპიტერის ოთხი მთვარე აღმოაჩინა. მათ შეარქვეს სახელები: იო, ევროპა, განიმედე და კალისტო. იო და ევროპა დაახლოებით ჩვენი მთვარისოდენა სხეულებია და დაახლოებით იმავე მანძილებზე უვლიან გარს იუპიტერს, როგორც მთვარე - დედამიწას: იო - 420 ათას, ევროპა კი - 671 ათას კმ-ზე (შეგახსენებთ, რომ მთვარიდან დედამიწამდე 380 ათასი კმ-ია). საინტერესოა იუპიტერის გარშემო მათი გარშემოვლის პერიოდები, ანუ „თვეები“: იოს „თვე“ სულ 1 დღე და 18 საათია, ევროპისა - 3 დღე და 13 საათი (მთვარის თვე 27 დღეა!). ბარემ ვთქვათ, რომ იუპიტერის დღე-ღამე (ღერძული ბრუნვის პერიოდი) ორნახევარჯერ მოკლეა ჩვენს დღე-ღამეზე, მისი „წელიწადი“ კი (მზის ირგვლივ გარემოქცევის პერიოდი) 12 ჩვენებურ წელიწადს უდრის.

იუპიტერის სხვა თანამგზავრები - განიმედე და კალისტო მთვარეზე თითქმის ორჯერ დიდებია, ხოლო მათი „თვეები“ შესაბამისად 7 და 17 დღეა.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იუპიტერს სხვა თანამგზავრებიც ჰყოლია, ოღონდ გაცილებით პატარები. ზოგი მათგანი დიდი ტელესკოპებით იპოვეს, ზოგსაც კოსმოსურმა თანამგზავრმა „ვოიაჯერმა“ მიაკვლია, რომელიც 1980 წელს უშუალოდ „ესტუმრა“ იუპიტერის მიდამოებს. მათგან ყველაზე შორეული „მთვარეა“ სინოპე, რომელიც იუპიტერიდან 27 მლნ კმ მანძილზეა და მისი „თვე“ (მოქცევის პერიოდი) თითქმის დედამიწის ორი წელიწადია. სინოპე სულ 40 კმ ზომისაა და, რა თქმა უნდა, ძალზე ულიმღამო მნათობია, რომელსაც ვარსკვლავებში ვერც კი გამოარჩევ. ასევე პატარებია იუპიტერის სხვა მთვარეებიც: ლედა, ჰიმალია, ლისითეა, ელარა, ანანკე, კარმე, პაციფე, პრომეთე, პანდორა, ეპიმეთე და იანუსი.



სამაგიეროდ, გალილეის აღმოჩენილი 4 კაშკაშა მთვარე იუპიტერის ღამეებს დედამიწისეულისაგან განსხვავებულ ბევრ განსაკუთრებულ, წარმტაც მოვლენას შესძენს: ზოგი სავსე მთვარის ფაზაში იქნება, ზოგი ნახევარმთვარის ან მილეული ნამგლის სახით იელვარებს, ერთი რომ ჩავა, მეორე ამობრწყინდება, შეიძლება ერთმანეთიც დააბნელონ. ამ მთვარეთა დაბნელებები თუ მათით გამოწვეული მზის დაბნელებებიც იუპიტერზე გაცილებით ხშირი იქნება, ვიდრე დედამიწაზეა.

დანარჩენი პლანეტების მთვარეებზე შემდეგ გესაუბრებით.



ეგვიპტე
ბაღდადი
არაბეთი
ტარიელის ქვაბოვანი
ხვარაზმი
ხატაეთი
ინდოეთი
მულღაზანზარი
ქაჯეთი
გულანშარო
ზღვათა სამეფო
ნესტან-დარეჯანის მიერ ნაავით ორ მონასთან ერთად გავლილი გზა
ტარიელის ლაშქრობის მარშრუტი ხატაეთში
გმირების არაბეთიდან ინდოეთში გადასვლის მარშრუტი
ნესტან-დარეჯანის ქაჯნისა და გადარჩენის დროს არაბეთიდან ქაჯეთამდე გავლილი გზა
ავთანდილის მიერ ნესტან-დარეჯანის ადგილის აღმოჩენის შემდეგ გულანშაროდან ტარიელის ქვაბოვანამდე გავლილი მარშრუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა კვალდაკვალ

ბავშვებო, თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში უთუოდ იქნება „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 800 წლის წინათ, თამარის მეფობის დროს დაწერა დიდმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა.

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ თქვენგან თითო-ოროლას თუ ექნება წაკითხული ეს წიგნი, მაგრამ ყველას გეცოდინებათ ზეპირად რამდენიმე სტროფი მაინც „ვეფხისტყაოსნიდან“, ხოლო პოემის შინაარსი ნაამბობი გექნებათ უფროსებისაგან. ახლა გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, თუ რამდენი ქვეყანაა აქ ნახსენები, სად და სად მოხვდებიან პოემის გმირები.

მაშ მივყვეთ კვალდაკვალ ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს და სხვებს... დავიხსნათ ტყვეობიდან ნესტან-დარეჯანი... ამაში დაგვეხმარება რუკა, რომელიც ცნობილი ქართველი გეოგრაფ-რუსთველოლოგის ლევან მარუაშვილის და მისი სახელოვანი მოწაფის კობა ხარაძის ნაშრომების მიხედვით დახატა ჟურნალ „დილის“ მხატვარმა გია ლაფაურმა. თქვენთვის, ბავშვებისათვის, ამ რუკის შექმნის იდეა კი შემოგვთავაზა ცნობილმა ჟურნალისტმა, ბატონმა გვანჯი მანიამ.

აი, არაბეთი, აქ მეფობდა როსტევანი „ - მეფე ღმრთისაგან, სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი...“, რომელმაც ხელმწიფობა თავის ერთადერთ მემკვიდრეს - თინათინს გადაულოცა.

აქ, სანადიროდ გასულმა როსტევანმა, მისმა სარდალმა (ანუ სპასპეტმა) ავთანდილმა და მათმა მხლებლებმა „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ - წყლის პირს მჯდომი, ვეფხის ტყავით მოსილი მტირალი ჭაბუკი, რომელიც ინდოეთის მეფის, ფარსადანის აღზრდილი ტარიელი გამოდგა.

აი, ხატაეთი, - ინდოეთის მტრული სახელმწიფო, სადაც ტარიელმა ძლევამოსილად ილაშქრა; აი, ხვარაზმი. აქედან ჩამოვიდა ტარიელის სატრფოს - ფარსადან მეფის ასულის ნესტან-დარეჯანის საქმროდ მოხმობილი, შაჰის ვაჟი. ტარიელისგან მის მოკვლას მოჰყვა დიდი უბედურება - როგორ თუ საქმრო მოაკვლევინეო, ნესტან-დარეჯანის მამიდამ, ქაჯეთის მეფის ქვრივმა დავარმა ნესტანი ორ ქაჯ მონას მისცა და უბრძანა, „წადით, ზღვაში დაკარგეთო“.

სატრფოს საძებნად წასულმა გამწარებულმა ტარიელმა ჯერ ზღვა-ზღვა მისდია კვალს, მერე ნაპირზე გადავიდა და აქ შეხვდა ფრიდონს - მულღაზანზარის ქალაქის მფლობელს, რომელსაც ძმური სამსახური გაუწია და დაუმეგობრდა. ფრიდონისაგან შეიტყო, რომ იმ მიდამოებში ენახა მას ნავიდან გადმოსული ორი შავი მონა და მზესავით მშვენიერი ქალი. მეგობრებმა ოთხკუთხივ გაგზავნეს მძებნელები, მაგრამ ნესტან-დარეჯანის კვალს ვერავინ მიაგნო. იმედდაკარგულმა ტარიელმა რამდენიმე მხლებელთან ერთად გზა განაგრძო, დევების სადგომ გამოქვაბულს მიადგა, დევები ამოწყვიტა, მაგრამ თავისი ხალხიც დაეღუპა და მარტო დარჩა ნესტან-დარეჯანის ერთგული მოახლის - ასმათის ამარა. და-ძმასავით მოყვარული ტარიელი და ასმათი ქვაბოვანში დასახლდნენ. სასოწარკვეთილი ტარიელი მას მერე შეშლილივით იყო, გავიდოდა, რამეს მოინადირებდა, ხშირად ტიროდა და იბნიდებოდა. სწორედ ასეთ დროს ნახეს ის როსტევან-მეფემ და ავთანდილმა.

როსტევანი ძალიან დაამწუხრა „უცხო მოყმის“ ამბის უცოდინარობამ, და ამიტომ თინათინმა იმ მტირალი ვეფხისტყაოსანი მოყმის ამბის გასაგებად თავისი სატრფო ავთანდილი გააგზავნა. ავთანდილმა თავგანწირული მეგობრობა გაუწია ტარიელს; ნესტან-დარეჯანის საძებნად წასული ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქში, გულანშაროში მოხვდა. ვაჭართუხუცესის - უსენის ცოლის, ფატმანისგან შეიტყო, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯებს ჰყავდათ დატყვევებული. ამის შემდეგ ავთანდილი ტარიელის ქვაბოვანში დაბრუნდა, ტარიელთან ერთად გაუარა ფრიდონს, რომელმაც მეომრები გამოიყოლია და ძმობილები სამასი რჩეული კაცით ქაჯეთის ციხეს მიადგნენ, ნესტან-დარეჯანი ტყვეობიდან დაიხსნეს და მშვიდობით დაბრუნდნენ ჯერ არაბეთში, სადაც თინათინისა და ავთანდილის ქორწილი გადაიხადეს, შემდეგ კი ინდოეთში, სადაც ტარიელმა მწარე მარცხი მიაყენა ძველ მტრებს - ხატაელებს, და შემდეგ ცოლად შეირთო ნესტან-დარეჯანი.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ეს მარშრუტები რუკაზე მითითებულია სხვადასხვა ფერის ნიშნებით. მაგრამ უმთავრესი არ უნდა დაგვავიწყდეთ. მართალია „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ვითომ სხვადასხვა ქვეყნის შვილები არიან და მათი ასპარეზი ძველი მსოფლიოს კიდით კიდემდე სწვდება, პოემა მაინც ქართველი ერის სულის გამოხატულებაა. ეს ჭეშმარიტად ქართული ნაწარმოებია, ოღონდ მისი გეოგრაფიული გარემო მოიცავს მეთორმეტე საუკუნისათვის ცნობილ მთელ მსოფლიოს - ევრაზიას, აფრიკას და მათ შორის გაშლილ ინდოეთის ოკეანეს.

ზოგი გეოგრაფიული ადგილი დღესაც ძველი სახელით არის ცნობილი, ზოგის ადგილმდებარეობა კი, იმათი, რომელთა სახელი დღეს უცნობია, მეცნიერებმა დაადგინეს...

# ვატერლოო

F-6427
ეროვნული ბიბლიოთეკა



1815 წლის მარტში გამოჩენილი მხედართმთავარი და საფრანგეთის ყოფილი იმპერატორი, კუნძულ ელბაზე გადასახლებული ნაპოლეონ I ბონაპარტი გამოიქცა გადასახლებიდან, პარიზში ჩავიდა და მომხრეთა ხელშეწყობით დაიბრუნა მმართველობა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ ინგლისელთა და პრუსიელთა არმიები. იმავე წლის 16 ივნისს ნაპოლეონი 120 ათას კაციანი ჯარით ბელგიაში შევიდა და უკუაქცია პრუსიელები, შემდეგ კი ბრიუსელის მახლობლად მდებარე სოფელ ვატერლოოსაკენ გაემართა ინგლისელებთან შესარკინებლად. ინგლისელებს (რომლებსაც ველინგტონი სარდლობდა) დაეხმარა პრუსიელთა მეორე არმია – შუა ბრძოლაში მან ფლანგიდან დაარტყა ნაპოლეონს და ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ფრანგებმა დაკარგეს მთელი არტილერია და 32 ათასი მეომარი, ინგილსელებმა – 15 ათასი კაცი, პრუსიელებმა – 7 ათასი. ვატერლოოს მარცხით ბოლო მოეღო ნაპოლეონის დამპყრობელ ომებს, რითაც ის მსოფლიოს დამორჩილებას ლამობდა.

ეს მოხდა 1815 ივნისს.



ინგლისელი ქვეითები



ფრანგი ცხენოსანი



პრუსიელი ქვეითი



ირაკლი გელეიშვილი
10 წლის

ნოდარ შამანაძე

## პაპაჩემი სანთლებს ანთებს

სანთლებს ანთებს პაპაჩემი,
დღეში შვიდჯერ ილოცება,
აფხაზეთი არის ახლა
მისი ფიქრი და ოცნება.
ღმერთო, მალე დამაბრუნე
ჩემს მშობლიურ მიწაზეო,
მერე სულაც არ დავეძებ,
თუგინდ მოვკვდე იმ წამსვეო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთერ ფაცურია

## შენი სოხუმი ჩვენია!

- დედი, მზე ამოსულა!? დამასწრო!
- კი, დედა, ამოვიდა, მეც გაკვირვებული ვარ, როგორ დაგასწრო!
- სიზმარს ვხედავდი, ვითომ პატარა გოგო-ბიჭები სოხუმში შევედით...
- იმიტომ დაგესიზმრა ეგ, ტელევიზორით აფხაზეთის ომის კადრებს რომ უყურე გუშინ.
- ჰო... დედა, ხომ ისევ ლამაზია ჩემი სოხუმი? ხომ არსად არ არის ისეთი მწვანე და სუფთა ზღვა? თუ?.. გემი რომ ჩაიძირა, ადამიანებით სავსე, ალბათ აღარასოდეს იქნება სუფთა!?
- იქნება, შვილო, იქნება! თუ შენ, შენი აქაური დეიდაშვილები და თქვენი ტოლები მოინდომებთ, შენი სიზმარი კარგად ახდება!
- და ისევ დავბრუნდებით ჩვენს სახლში, არა, დედა? მერე ირაკლი და გიორგი ჩვენთან ჩამოვლენ სტუმრად.
- კი, შვილო!
- მე ახლა სოხუმს დავხატავ, დედა. ჩვენს ლამაზ პალმებს და ლამაზ ზღვას. ირაკლი, ირაკლი, სად ხარ! ხომ დამიმზადებ ჩემი ნახატისთვის ლამაზ ჩარჩოს? გიორგი კიდევ ძაფსაკიდს გაუკეთებს...
- რას ხატავ, თინიკო!
- ჩემს სოხუმს... როცა სოხუმი ისევ ჩვენი იქნება და ჩემს სახლში დავბრუნდებით, თქვენც ჩამოხვალთ და ახლა ჩვენ ვიქნებით თქვენი მასპინძლები...
- არც აქ ხარ სტუმარი, დაია! თბილისიც ჩვენია და შენი სოხუმიც ჩვენია!

მხატვარი გია ლაფაური

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლინა ბარათაშვილი

## მზე ხატავდა საქართველოს

ღვთისმშობლის კალთის ქვეშ,
სიყვარულით უთქმელით
მზე ხატავდა საქართველოს
ვარდისფერი ფუნჯებით...
შლიდნენ სურათს არაბები,
ერუები და მუნჯები!..
მზე ხატავდა მერე ისევ
ვარდისფერი ფუნჯებით.

ნათელა ჩხაიძე

## გემი

ზღვას მიაპობს გემი,
ზურგის ქარი, ღმერთო!
კაპიტანი ბრძანებს:
„საჭე მარჯვნივ, თედო!“
თედო-ბიჭიც მედგრად
საჭეს უდგას, მართავს.
ნავსადგურიც მოჩანს
ალაყაფის კართან.



## ზრდილი ბიჭი

ზრდილი ბიჭი არის დათო
და თქვენ იცით, რატომო?
თუკი ვინმე დაუძახებს,
უპასუხებს: – ბატონო!
უფროსს ადგილს დაუთმობს,
წამოხტება სხარტად,
გოგონას წინ გაატარებს
რაინდია მართლაც!
აბა რისი ქართველია,
თუკი ეს არ ახსოვს,
რომ ზრდილობა ყველაფერზე
უფრო ძვირად ფასობს.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# დედა ენა

ნათელა ჭახნაკია

ჩემო კარგებო ! მე მინდა გაგაცნოთ და შეგაყვაროთ ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა, ურომლისოდაც არ იარსებებდა ჩვენი მშობლიური, ჩვენი დედა ენა - ქართული. მინდა დაგანახოთ და გაგრძნობინოთ ცალკეული სიტყვების მშვენიერება და სიტკბო, მათი ტკბილქართულობა.

დავიწყოთ ჩვენი უპირველესი სიტყვით, ჩვენი სალოცავით - ეს არის დედაენა. ამ სიტყვას ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ქართული სული და გული ჩააქსოვეს, სიბრძნე და სიკეთე უსაზღვრეს, ამ სიტყვით გააერთიანეს ჩვენი სიცოცხლის და არსებობის წყარო, უმაღლესი სიბრძნე და სიკეთე ამქვეყნად - დედა, და ჩვენი, ადამიანების, ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება - ენა.

რა არის დედაენა?

დედაენა დედის ნათქვამი პირველი საალერსო სიტყვაა, დედის ნამღერი პირველი სიმღერის - იავნანის ენაა. ის ენაა, რომელზეც ენა ამოიდგით და თქვით თქვენთვის ყველაზე ნაცნობი და ძვირფასი სიტყვა „დედა"; ენა, რომელმაც პირველმა დაგაკავშირათ ადამიანებთან - ჯერ დედ-მამასთან, შინაურებთან, ტოლ-სწორებთან, შემდეგ სხვებთან და სხვებთან... დაგაკავშირათ თქვენს გარშემო არსებულ ქვეყნიერებასთან.

აი, - გითხრათ დედაენამ, - ეს პაწაწინა ლურჯი ყვავილი იაა, ეს ლურჯი სივრცე თქვენს თავზე - ცაა, ეს მწვანე ხმელეთი, სადაც თქვენ ფეხი აიდგით - მიწაა... ეს - დედაა თქვენი, ეს თქვენი სამშობლოა. აი, ეს კი წიგნია. წიგნს „დედა ენა" ჰქვია. ამ წიგნმა უნდა შეგადგმევინოთ ფეხი ცოდნის სამყაროში, უნდა გაგიხსნათ გონება აზროვნებისათვის, თვალნი - ხედვისათვის, ყურნი - სმენისათვის, გული - სიყვარულისათვის; უნდა გაგზარდოთ ქვეყნისათვის გამოსადეგ ადამიანებად.

„დედა ენა" - ქართველი ბავშვების პირველი სასწავლო და საკითხავი წიგნი - ას წელზე მეტი ხანია, რაც შეადგინა ჩვენმა დიდმა პედაგოგმა, მწერალმა და მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა; შეადგინა, და ეს სათაყვანებელი სიტყვა - დედაენა უწოდა. ალბათ იმიტომ, რომ ეს ერთსიტყვიანი მოთხრობაა, რომელიც უკვე წიგნის გადაშლამდე გეუბნებათ: „მე ანბანთა წიგნი ვარ და ამიერიდან დედასთან ერთად, შენთვის ყველაზე ძვირფასი და ახლობელი გავხდები. როცა მერხს მიუჯდები, მე დედის მკერდივით გადაგიშლი ჩემს გულს და შიგ ჩაგახედებ. ხედავ ამ პატარა, ლამაზ ფიგურებს? ეს ასოებია, რომლებსაც სიყვარულით ანბანებს ეძახიან, მეცნიერი კაცები კი - გრაფემებს. ასოები 33-ია; შეისწავლი მათ და ისინიც დედასავით ტკბილად მოგიყვებიან ზღაპრებს, ლექსებს, არაკებს... და გაიგებ ყველაფერს, რაც ასე ძალიან გაინტერესებს და გაოცებს: რატომ ჩურჩულებს ტყე, რატომ ჩამორბის ჩუხჩუხით ნაკადული, დღისით რატომ ანათებს მზე და ღამით - მთვარე, რატომ არის გაზაფხულზე ცვრიანი ახლად ამობიბინებული ბალახი და ზაფხულის ღამეებში რატომ ციმციმებენ ციცინათელები; იმასაც წაიკითხავ და გაიგებ, რა არის წყალი და ხმელეთი, ცა და მიწა, მიწა, რომელსაც დედამიწას ვეძახით და ქვეყანა, რომელიც დედასამშობლოა ჩვენი. დედა - ეს უძვირფასესი სიტყვა - დუღაბივით არის შემტკიცებული ქართულ ენაში სხვა სიტყვებთანაც და ახალ, მშვენივრად შენადნობ სიტყვებს ქმნის. ასეთი სიტყვებია: დედაქალაქი, დედაბოძი, დედააზრი, დედაკაცი, ადგილის დედა, მარცვლის დედა და სხვები...

და ყველა ეს სიტყვა ჩვენი დედაენის კუთვნილებაა, წიგნი „დედა ენა" კი უპირველესი სიბრძნის წიგნია ჩვენი...

ახლა ერთ ამბავს გიამბობთ: ქართველი ბავშვების საყვარელ პოეტს და დიდ მწერალს ნოდარ დუმბაძეს თურმე ჰქონდა საოჯახო რელიკვია, მამაპაპისგან შემორჩენილი, გაცრეცილი „დედა ენა". ეს წიგნი, თურქეთში სამოგზაუროდ წასულს, მას თან წაუღია. იქ მწერალი შეხვედრია ქართველ ბიჭს, რომელსაც გულისტკივილით უთქვამს, დედ-მამა ადრე დამეხოცა და ქართულის სწავლა ვერ მოვახერხეო. და აი, მწერალს მისთვის უჩუქებია თავისი ოჯახის სალოცავი ძველისძველი „დედა ენა". ისეთი გრძნობა დამრჩაო, იგონებდა შემდეგ იგი, - თითქოს ჩემი მეორე დედა ვაჩუქე ობოლ ქართველ ბიჭს, თურქეთში რომ ცხოვრობს და საქართველო და ქართველები ენატრებაო.

კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდით ამ სიტყვას - დედაენა. ჩვენ გვაამაყებს იმის შეგნება, რომ არცერთ სხვა ენაში არ დაიძებნება მისი ფარდი უწმინდესი, ხატსახიერი სიტყვა.

მხატვარი ნუგზარ გიგაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ კარესელიძე

## სამშობლოს მთები



მიყვარს სამშობლოს მთები,
მე ვარ არწივის მართვე,
და უჭირველეს ყოვლის
მამულის მოვლა მმართებს.
დღეს დავუბნელებ, ვინც მე
მამულს და დედულს მართმევს,
სამშობლოსათვის სიკვდილს
ვარჩევ - სხვა ქვეყნის ნათელს.
ბედნიერია, ვინც გულს
მზით, სიყვარულით ანთებს,
უმზერს ჩაუვალ მზეზე
მთების მადლიან კალთებს.



## აი ა
## აი აია

აი ა,
აი აია,
შენ მველად გერქვა აია
ჩემო ქვეყანავ, თურმე,

საგანთიადო ზარია...
აქ მთაა, იქ კი ზვარია,
გვიგზავნის ამო სურნელს.
აი აია,
აი, ა,
ჩემს მიწას გულში ბზარი აქვს,
დღეები ახსოვს მრუმე...

აი, ა,
აი, აია,
მოგიმღვნით, - ღვთით გვავალია, -
სინათლით სავსე გულებს.

მხატვარი ვაჟა ქურხული

# ქრისტიანის მეგობარი

*Amigo del'cristiano*





ლუარა გორდიევიჩი

ჩვენი შინაური კატის ნათესავები არიან ლომი, ვეფხვი, ლეოპარდი, ავაზა, პუმა, იაგუარი, მინდვრის ფოცხვერი, ჯიქი, ოცელოტი და ბევრი სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი დიდი ტანის გარეული კატები არიან.

ბევრი რამ აქვთ ამ ცხოველებს საერთო - სილამაზე, ღონე, სიმარდე, ამტანიანობა, რბილი ტყავის სამოსელი, ლამაზი შეფერილობა. საინტერესოა, რომ ტყავის შეფერილობა მათ იმ ადგილებთან აქვთ შეხამებული, სადაც ცხოვრობენ, და ეს ძალიან შველით, რადგან ნადირობის დროს მსხვერპლისათვის შეუმჩნეველი ხდებიან.

მათ მაგარი, დიდი და ბასრი კბილები და ბრჭყალები აქვთ, რითაც ადვილად იმორჩილებენ მსხვერპლს. სიარულის დროს ბრჭყალები რომ არ დაუჩლუნგდეთ, შეუძლიათ შეზიდონ და შემალონ ისინი. ჩუმად, უხმაუროდ ეპარებიან მსხვერპლს, რადგან თათებს ქვეშ პაწია ბალიშები აქვთ (ხელში აიყვანეთ შინაური კატა და თათი გაუსინჯეთ).

ამერიკაში არც ლომი იცის და არც ვეფხვი. იქ ბინადრობს კატის ჯიშის ორი მტაცებელი ცხოველი - პუმა, ანუ კუგუარი, და იაგუარი.

პუმა ძუ ლომს წააგავს, მაგრამ უფრო პატარაა. ისიც ლომივით მამაცია და მტრის წინაშე არასდროს უკან არ იხევს, თავისზე დიდ მხეცებს - დათვსა და იაგუარსაც კი შეებმება ხოლმე და ხშირად გამარჯვებულიც გამოდის. ადამიანისა არა თუ არ ეშინია, არამედ რაღაცნაირ სიმპათიას გამოხატავს მისდამი.



ავაზა

პუმა გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში, მექსიკაში, შეერთებულ შტატებში - კანადამდე. მისი სიგრძე კუდთან ერთად მეტრნახევარია. შესახედავად იგი ძალიან ლამაზია. აქვს სქელი, მოკლე და მუქი - ყვითლად და წითლად შეფერილი რბილი ბეწვი, მკერდთან ღია ფერისაა. თავი რუხი აქვს, მოვერცხლისფრო, რის გამოც ვერცხლისფერ ლომსაც ეძახიან.

საცხოვრებლად პუმა ირჩევს ტყიან ჭალებს ან პამპასებს (ხშირბალახიან მინდვრებს). მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში ტყეს აფარებს თავს, მარჯვედ აცოცდება ხეზე. იმდენად სწრაფია, რომ ფეხმარდი სირაქლემაც კი ვერსად გაექცევა. თუ დასჭირდა, ცურვაც კარგად ეხერხება. სანადიროდ, როგორც მტაცებელთა უმრავლესობა, ღილსით იშვიათად გამოდის. ნამდვილ ცხოვრებას მზის ჩასვლის შემდეგ იწყებს და მზის ამოსვლისას ამთავრებს. ამიტომაც ძალიან გამჭრიახი თვალი და მახვილი სმენა აქვს.



იაგუარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაცვიფრებელია, რომ პუმა თავს არ ესხმის ცხვრებს, ხბოებს და ა. შ. იგი ხელს არ ახლებს გზააბნეულ ცხვარს, მაგრამ ყოველნაირად ცდილობს ხელთ იგდოს მკვირცხლი გუანაკო ან ფეხმარდი ცხენი. ამ მამაცი და უშიშარი მტაცებლის საფარის წინ მშვიდად, უშიშრად შეუძლია გავლა ადამიანს, პატარა ბავშვსაც კი. ამიტომაც მას პამპასებში „ქრისტიანის მეგობარს“ (*Amigo del cristiano*) ეძახიან. პუმა არა თუ არ ერჩის ადამიანს, არამედ, განსაცდელში ჩავარდნილს, თავგამოდებით იცავს სხვა მტაცებლებისაგან. ასეთი უამრავი შემთხვევაა ცნობილი. ერთხელ ერთ მონადირეს პამპასებში სირაქლემებზე ცხენით ნადირობისას ასეთი ამბავი გადახდა თავს. იგი ცხენიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა. სიარული არ შეეძლო და იძულებული გახდა ღამე იქვე [illegible]თენებინა; ცოტა ხნის შემდეგ შეამჩნია პუმა, რომ[illegible]ლიც მშვიდად დაწვა შორიახლოს, თითქოს ადამიანს ვერც კი ამჩნევდა. უცებ იგი თითქოს რაღაცამ შეაშფოთა. ადგა და თვალს მიეფარა. ცოტაც და მონადირეს იაგუარის ღრიალი შემოესმა. შიშმა შეიპყრო. პამპასების სასტიკი მტაცებლის ხმა სულ უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. საღამოს ბინდბუნდში მონადირემ ტანიც გაარჩია. მაგრამ ამ დროს პუმას ღრიალიც გაისმა. იგი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება იაგუარს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და დილამდე იცავდა მას ძლიერი და მრისხანე მტრისაგან. როგორც იქნა მოიგერია და გამთენიის ჟამს თვითონაც თვალს მიეფარა. სიკვდილს გადარჩენილი მონადირე კი მეგობრებმა იპოვეს.



ლეოპარდი



ჯიქი

ბებერი პუმა ტყვეობას ვერ იტანს და მალე იღუპება; ახლგაზრდა კი სწრაფად ეგუება და უმეგობრდება პატრონს და მწვრთნელს. მოშინაურებული პუმა ძალიან გამრთობია და ნაკლებად საშიშია, ვიდრე აზიასა და აფრიკაში მცხოვრები მისი მონათესავე მტაცებლები.



ფოცხვერი

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ლალი ჯაფარაშვილი

## ბუტია ბატები

(ენის გასატეხი)



გამებუტა
ბატი ტეტი,
გამებუტა
ბატი ტუტი,
ვერ გაიგეს! –
არ მაქვს მეტი
კამფეტი და
ბატიბუტი!
თქვენ გგონიათ
დამენანა! –
მუჭში აღარ
ჩამეტია,
წავალ, კიდევ,
გამოვიტან;
რა ბუტია
ბატებია!



მხატვარი თეა რიჟამაძე

# სახალისო

ნოდარ ნიჟარაძე

ბავშვებო! მხატვარმა ცნობილი ზღაპრების „წითელქუდას“, „კომბლეს“, „ჩიტი და მელიას“ და „სიზმარას“ პერსონაჟები დაგვიხატა, მაგრამ რატომღაც ყველა ზღაპრის პერსონაჟებს თითო ზედმეტი გმირი მიუხატა, რომლებსაც არაფერი ესაქმებათ ამ ზღაპრებში. გამოიცანით ეს ზედმეტი პერსონაჟები და ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ მათი სახელების პირველი ასოები.

თქვენ წაიკითხავთ თქვენი წარმატების მსურველის და თქვენი კეთილისმყოფელის სახელს.











მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ლიდა სტვილია

## ხაჭაპური



ბებო მიცხობს ხაჭაპურს,
კვერცხის გულით გაპრანჭულს,
სამ-ოთხ-ხუთსართულიანს -
ხან მეგრულს და... ხან რაჭულს...
განა ისეთ ფენოვანს
ჯიხურში რომ ყიდიან!
ბებოს ხაჭაპურები
მთვარესავით დიდია!
...ჭრის ბებიკო ხაჭაპურს,
სულს უბერავს ეს ქარიც...
გაიწელა ყველი შიგ -
ხაჭაპურიც ეგ არის!
ბებო მიცხობს ხაჭაპურს,
კვერცხის გულით გაპრანჭულს,
ჭყინტი ყველით გატენილს,
ხან მეგრულს და ხან რაჭულს...
სამ-ოთხ-ხუთსართულიანს,
ყველის ნამდვილ ხაჭაპურს.

იმერი ხარაძე

## ცარიელი საცერი
### (ენის გასატეხი)



-ვცრიდი,
ვცრიდი,
როცა მცემდნენ;
არცა მცემენ,
არცა ვცრი...
- ცარიელო საცერო,
თუნდაც გცემონ,
რას გაცრი!

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლია კობალაძე

## ვისია ბიჭი. ვისია?

თბილ სალამს ჩამოურიგებს
ირგვლივ, უცხოს და მისიანს,
ბიჭი არ არის ურიგო,
პირიქით, ქების ღირსია.
სანატრი საბრძანისი აქვს, –
სულსა და გულში გვისვია,
– ვისია, ბიჭი, ვისია?
– ჩვენია, განა სხვისია!..

გიორგი მეტრეველი

## მეკვლის დალოცვა

სიხარული მოვიტანე,
მოველ ომახიანად...
დაგილოცოთ ეს ოჯახი
ქრისტე ღმერთმა მთლიანად!
მუდამ გქონდეთ დასახნავი,
დასათესი,
სამკალი,
ნოყიერი იყოს თქვენი
სადილი და სამხარი!
გაგიმრავლდეთ ნათესავი
სოფლადა და ქალაქად,
არ დააკლდეს თქვენს მოსავალს
ღალა,
ხვავი,
ბარაქა!
მტერს მტრობა არ შეარჩინოთ,
დარჩით უფლის მორჩილი,
გაგიმრავლოთ საიმედო
ქალ-ვაჟების ქორწილი.
არაფერი დაგრჩენოდეთ
ღვთის წინაშე უთქმელი.
მრევლი გყავდეთ ბედნიერი
მამა-ღმერთის კურთხევით!



მხატვარი თამაზ ხუციშვილი



# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

ანა აცამზას, თემურ ბექუაშვილს, ელენე ბჟალავას,
ნიკა დოლაბერიძეს, ამირან კამლაძეს, ლაშა კვირაიას,
თენგიზ ხრუსტალს, ზუკა კაკაშვილს, ირაკლი კალანდიას,
დავით კვირაიას, ანა ლავრინსკის, ლია ლაშაურს,
გიორგი მარგალიტაძეს, გელა ტირაძეს, უჩა უჩაიძეს,
ნიკა ქუფრაშვილს, თამრიკო შამუგიას,
ბექა ხარბედიას, გიორგი ხარბედიას.



მშობლების საყურადღებოდ!
თუ გსურთ თქვენი პატარა
საზეიმო ჟურნალზე მოხვდეს,
დაგვიკავშირდით სამი თვით ადრე.
ტელეფონი: 93 10 32

# ჩაინვორდი

ბავშვებო!

ეს ჩაინვორდი რომ შეავსოთ, ალბათ უფროსებიც უნდა დაიხმაროთ. სთხოვეთ მშობლებს ან მასწავლებლებს, შეგირჩიონ წიგნები, სადაც ამ კითხვებიდან პასუხებს ამოიკითხავთ. ზოგი რამ იქნებ ისედაც იცოდეთ. თუ სწორ პასუხებს ჩასვამთ უჯრებში, დაუბრკოლებლივ ახვალთ პარკში, სადაც ბევრზე ბევრი გასართობია თქვენთვის. გარდა ჩაინვორდის შევსებისა, ეცადეთ დაწვრილებითი და ამომწურავი პასუხები მოგვაწოდოთ მოცემულ კითხვებზე. ვინც ყველაზე უკეთ გააკეთებს ამას, „დილის“ საჩუქარს მიიღებს.



ნახატზე თქვენ ხედავთ არა მარტო თბილისელებისათვის, არამედ, ალბათ ყველა ქართველისათვის საყვარელ მთას და ამ მთაზე ასასვლელი საბაგირო რკინიგზას.

1. რა ეწოდება ასეთ რკინიგზას?
2. რა ჰქვია ამ მთას?
3. ამ მთას მამადავითის მთასაც ეძახიან, აქ მდებარე ეკლესიას - მამადავითის ეკლესიას, დიდი ხნის წინ მოღვაწე ბერის სახელის მიხედვით. კიდევ რომელ ისტორიულ ადგილს უკავშირდება მამა დავითის სახელი?
4. დაასახელეთ თბილისის ერთი დიდი ღირშესანიშნაობა, რომელიც ამ მთაზე მდებარეობს და გვიამბეთ, რა იცით მის შესახებ.

5,6. აქ ჩაწერეთ საქართველოსათვის, ქართული ენისათვის თავდადებული მოღვაწის სახელი და გვარი... ამ ადამიანის ხსოვნას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა დიდებული ლექსი, რომლის სათაურია:

7........

8. ალბათ ყველამ იცით ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „ქართვლის დედა“. ვინ არის ამ ძეგლის ავტორი?

9. ორ დიდ ქართველ პოეტს შთააგონა უკვდავი ლექსები მამადავითის მთის იდუმალმა მშვენიერებამ.

რას ეძახდნენ შინაურობაში პოეტს, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები: „... ადგილნი შენნი, დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი?“

10. „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი,

მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი...“ ამ სიტყვების ავტორის სახელი.

11. კიდევ ერთი, ჩვენი ერისათვის წმინდა სახელი. ვის საფლავს ამშვენებს უბრალო, თითქოს ქართულ მთას ჩამოტეხილი ქვის ლოდი?

მხატვარი ანა მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრა-კერვის გაკვეთილი

## ვისწავლოთ გოგონას სარაფანის შეკერვა



### ზომები

გულმკერდის წრეხაზი 60 სმ.
კისრის წრეხაზი 16 სმ.
ბეჭების სიგანე 2 სმ.
სიგრძე 50 სმ.




### სარაფანი კოკეტკით, კოკეტკის ქვევით ნაოჭებიანი

კოკეტკის სიგრძე 12 სმ.
სიგანე 25 სმ.
ქვედატანის სიგრძე 48 სმ.
სიგანე 120 სმ.

ქვედატანი უნდა ავიღოთ გულმკერდის წრეხაზზე 2-ჯერ მეტი (60X2 - ე. ი. 120 სმ.), უმჯობესია ბოლოებში ოდნავ გაფართოებული (3 სმ-ით). ქვედატანს ავუსხათ ნაოჭი და მივაკეროთ კოკეტკას. კოკეტკა უნდა იყოს ორმაგი. წინა კალთაზე გავაკეთოთ ჯიბე ან აპლიკაცია. ბეჭებზე შეიძლება გავუკეთოთ ბანტები.

მხატვარი-მოდელიორი თეა მიქაია




ლეილა ლომიძე

ხელში ჯოხი, ჯოხზე - ჭერი,
ზოგი შავი, ზოგი - ჭრელი,
დასაკეცი, გასაშლელი,
მზეში გაშლი - არ დაგცხება,
წვიმაში არ დასველდები.

ლაშა გეგეშიძე

ტვირთმზიდავი ცხოველია,
ხან რძე დააქვს, ხან მაწონი,
დინჯად დადის, მაგრამ საწყალს
ჭკუა არ აქვს მოსაწონი.




მილიონობით გოგონას საუკეთესო სათამაშო
„ბარბის" განუმეორებელი სამყარო
მაღაზია „ბარბი", თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №19
... და სხვა უამრავი ზღაპრული სათამაშო!

## ლოკოკინას ლაბირინთი




## რებუსები




ვახტანგ კუცია



აიღეთ კვადრატული ფურცელი, უმჯობესია ფერადი, და გადაკეცეთ დიაგონალზე. მიიღებთ სამკუთხედს. ეს სამკუთხედი გადაკეცეთ შუაზე და კიდევ ერთხელ შუაზე. ახალი სამკუთხედის თავისუფალი კიდე მაკრატლით მოამრგვალეთ შემდეგ კი, სამი მხრიდან გამოჭერით ქარგები ან ისე, როგორც სურათზეა მითითებული, ან, თუ გინდათ, ახალი ქარგიც მოიფიქრეთ. როდესაც გაშლით ქაღალდს ნაირფერად ნაქარგი პატარა ნოხი გეგონებათ.

ანა მგალობლიშვილი

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან
ყდაზე ნახატი ედუარდ ამბოკაძისა
დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი